

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა
და სოციალურ საკითხთა კომისია

ოქმი № 07

ქ.აბაშა უჩა კაჭარავას #1

31 აგვისტო 2018 წელი.

სხდომას ესწრებოდა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. კონსტანტინე კუჭუხიძე - აბაშის მუნიციპალიტეტის განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
2. ლეონტი ნადარეიშვილი - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
3. ირაკლი ჭანტურია - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
4. გიორგი კაჭარავა - აბაშის მუნიციპალიტეტის განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
5. ბაქარი შელია- აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი

დღის წესრიგი:

მომხსენებელმა, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, კონსტანტინე კუჭუხიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სხდომაზე განსახილველი საკითხი:

1.აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცება

კ. კუჭუხიძე

მომხსენებელი:

კონსტანტინე კუჭუხიძე

(აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.) :

მომხს. კ. კუჭუხიძემ წარმოადგინა აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის

პროექტი შშმ მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ. შშმ მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო წარმოადგენს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს .

საბჭო ხელმძღვანელობს საქ. კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით.

საბჭოს თავმჯდომარეა აბაშის მუნიციპალიტეტის მერი, საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს აბაშის მუნიციპალიტეტის მერი. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც არის სოციალური საკითხების კურატორი. შემადგენლობაში შედიან აგრეთვე ჯანმრთელობისა სოც. სამსახურის უფროსი ,მერიის კულტურის ,განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი. მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი. საბჭოს წევრები არიან აგრეთვე შშმ პირთა სამი წარმომადგენელი. საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელიც არ არის საბჭოს წევრი.

საბჭოს ამოცანებია:

შშმ პირთა საკითხებზე ერთიანი მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და კოორდინაცია.

კომპეტენციის ფარგლებში დაიცვას შშმ პირთა უფლებები.

ხელი შეუწყოს შშმ პირთა ღირსეულ თანაცხოვრებას და ამ მიზნით შეიმუშაოს შესაბამისი წინადადებები, გეგმები და ა. შ.

ითანამშრომლოს არასამთავრობო და სამთავრობო სექტორთან შშმ პირთა უფლებების დაცვის მიზნით.

ხელი შეუწყოს შშმ პირთა შრომითი, საგანმანათლებლო, სოციალური და სხვა ხასიათის უფლებების რეალიზებას.

ხელი შეუწყოს შშმ პირთა მონაწილეობას, იმ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას, რომამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფაზე.

საბჭოს უფლებამოსილება:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების, ა(ა)იპ-ების და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურად ჩაბმის უზრუნველყოფა შშმ პირთა ინტეგრაციის კუთხით.

არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების მოზიდვა არსებული პროექტების დაფინანსებისა და ხელშეწყობის მიზნით.

შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად შშმ პირთათვის შესაბამისი სპორტის სახეობების დანერგვისა და

პარაოლიმპიური მოძრაობის განვითარებისათვის ხელშეწყობა.

შშმ პირებთან დაკავშირებით მომზადებული აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტების პროექტების განხილვა და დასკვნების მომზადება.

სხვა ფუნქციების განხორციელება საბჭოს კომპეტენციიდან და საქ. კანონმდებლობიდან გამომდინარე.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი ჭანტურიამ, ბაქარ შელიამ, გიგა კაჭარავამ.

დაადგინეს: ზემოთაღნიშნული პროექტი შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ შეფასდეს დადებითად. და საკრებულოს ბიუროს ეთხოვოს აღნიშნული საკითხი შეიტანოს საკრებულოსა და ბიუროს უახლესი სხდომის დღის წესრიგში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, 61 -ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „შშმ პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქ. კანონის თანახმად და აბაშის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლ 03/1620 წერილის საფუძველზე, აბასის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოც. საკითხთა

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი, ჩათვალა რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი დამაკმაყოფილებელია და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

მომხრე 5 დეპუტატი:

წინააღმდეგი - არც ერთი დეპუტატი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:

/ვ. კუჭუხიძე/